ცნობის ფურცელი

№ 1808 სამშაბათი, 14 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გაზეთი № 1808

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვაჰქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან. და 50 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

პ. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

გ. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ი. ფილდოროვი—შინაგანი და ბავშვთა 9—1 საათამდე.

ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. შაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი —12 საათამდე.

ნ. მულინი—ყურის, ყელის და ცხვირის 10—1 საათამდე.

ძ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების —12 საათამდე.

ა. გარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვების წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

გ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და სქესის 1—2 საათამდე.

სტ. ვოინო—ხირურგი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 6— საათამდე.

ბ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. ლალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამ.

კურნალებს აქვს საწოლი ოთახები.

ფარჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაცია და კრაოტები მორიგებით.

ადრ: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანძურიძისა № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-ტელეფონი № 274 (წლ.)

ტფილისის საკრებულოს საზაფხულო სადგომი

(მიხეილის პროსპექტი)

ხუთშაბათს, 16 მაისს 1902 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოთ გამართული იქნება

სეირნობა, სიმფონიური კონცერტი და ცეკვა.

სიმფონიური ორკესტრი შესდგება 40 კაცისაგან, ლოტბარათ იქნება ბ. მ. ვ. ზერბულოვი.

კონცერტში მონაწილეობას იღებს ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის მასწავლებელი ბ. ლ. ა. მაქსიმოვი.

ორკესტრი შეასრულებს საუკეთესო სიმფონიურ ნაწარმოებს მენდელსონისა, ვებერისა, გრიგისა, მასსენესი, ბერლიოზისა, სენსანსისა და სხვ.

ბაღში დაუკრავს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის სამხედრო მუსიკა (хоръ трубачей) საზანდარი და დუდუკი.

კონცერტის შემდეგ ცეკვა.

შესავალი ფასი 2 მან. 10 კაპ.

საღამოს დიასახლისი ბრძანდება უგანათლებულესი კნ. თ. დ. გრუზინსკისა.

სეირნობა დაიწყება საღამოს 6 საათზე, კონცერტი-კი—9-ზე. (4—2)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საექიმო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ბებია

პ. მ. ლიმონ

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—5)

კიდევ ბ. მოსაუბრე

როდესაც ადამიანი თავის ვიწრო წრის იქით ვერაფერს ჰხედავს და მოწინააღმდეგეს აზრის, სულ უბრალო აზრის გაგება არ შეუძლია, მასთან დაობა დ საუბარი ყოვლად უსარგებლოა.

ბ. მოსაუბრემ გვიპასუხა და თუმცა მის პასუხში ლანძღვა-გინება ძლიერ ცოტაა, თითქმის სრულიად არც არის, მაგრამ საუბედუროდ ძლიერ ცოტაა საქმიანობაც: იგივე სხვისის აზრის გაუგებრობა, იგივე უსაბუთობა და ლიტონი სიტყვები; იგივე მედიდურობა და თავის-თავის მოწონება, რასაკვირველია: ჩვენი „მწვავი (?) და „სამართლიანი“ (?!) სიტყვები არ მოსწონებია ბ. კალამს! ეგ ცოტაა: ბ. მოსაუბრის „სიმართლეს“ ვითომც კიდეც გაუბრაზებივართ ჩვენ! აკი ვსთქვით: ბ. მოსაუბრეს თავის-თავი მეტის-მეტად ძლიერ და ძლევა-მოსილ პუბლიცისტად მიაჩნია-მეთქი!

გეყოფათ, ბატონო; დამშვიდდით: გასაბრაზებელს არაფერს წარმოადგენთ და ჩვენი ეროვნული შეხედულობა ყოველთვის გაუძლებს თქვენს ანტი-ეროვნულ კრიტიკას“...

და მართლა განა ეს კრიტიკაა? ნახეთ: „ბ. კალამს, სწერს ჩვენი კრიტიკოსი: თითონვე მოჰყავს თავისი უგუნურების (არ ვიტყვით—უნიჭობის, ეს მეტის-მეტი იქმნება *) საბუთი (ალბად გაახსენდა გოგოლის უნტერ-ოფიცრის ცოლის როლი!). „ჩვენ აღვიარებთ ეროვნულ ანტაგონიზმსო“, ამბობს იგი (კალამი); მაგრამ რადგანაც ეს ციტატა მას არ დაუბოლოვებია, ამიტომ მოვიყვანოთ აქ დანარჩენი მისი სიტყვები: „ყოველი ერის წევრი მიილტვის „თავისიანებისადმი“, ცდილობს „თავისიანების“ ამორჩევას, ყველა ამბობს—ჩვენ-ჩვენ ვართ, თქვენ-თქვენ! კაცობრიობას ჯერ არ გაუვლია ეს ხანა. დღეს ეს აუცილებელია, კანონიერი და საჭიროცო.“ ეს ხომ სიტყვიერია (?) და საქმით (?) კი ეს ეროვნებათა ჩაყლაპვის (?) თეორიაა და მეტი არაფერი. თუ ბ. კალამს არ ესმის თავისივე სიტყვების მნიშვნელობა, ეს ჩვენი ბრალი არ არის.“

ჩვენ შეუცვლელად მოვიყვანეთ ეს ციტატა ბ. მოსაუბრის პასუხიდან. სულ მეტი იქნება, რამე დავუმატოთ ამას: იგი თავის-თავად ლაპარაკობს და ბევრსაც ლაპარაკობს: თუ რას წარმოადგენს ბ. მოსაუბრის პუბლიცისტიკა და კრიტიკა! სამწუხარო არ არის, რომ ასეთის ლოღიკის პატრონი ასეთის ბრახა-ბრუხით და რიხით იწყებს წერას, ასე უსაბუთოდ, ერთის კალმის გასმით ჰსპობს სხვის აზრებს და უმოწყალოთ, ისე იოლად, თითქოს ლუკმას იდებდეს პირშიო, ასალმებს ადამიანებს წუთის სოფელს?

ბ. მოსაუბრეს ვერ გაუგია ეს მარტივი ცნება, რომ შეიძლება შენი პიროვნება დაიცვა და სხვა ადამიანი არ გადაყლაპო, შენის ერის **) ინტერესებს იცავდე და სხვა ერსაც არ სპობდე. მან არ იცის, რომ დღეს ჯერ კაცობრიობას ვერ მოუხერხებია (მისთვის ეს დღევანდელი არა მაღალის კულტურის პირობებში შეუძლებელია) არამც თუ ერთა შორის, არამედ ინდივიდთა შორისაც დაამყაროს სამართლიანი ურთიერთობა უბრძოლველად, მშვიდობიანად და ძმურად, რომ დღეს მხოლოდ ბრძოლით (მაგრამ არა ველურის, პირუტყვულის ბრძოლით), ძიებით, დავობით შეიძლება საკუთარის ინტერესების, ვინაობის და პიროვნების დაცვა. ვინც ასე არ იქცევა, ის უკან მიდის და არა წინ პროგრესისაკენ. ან შეიძლება, ბ. მოსაუბრისათვის თავის უფლების დაცვა არის სხვისის უფლების ჩაყლაპვა? ეგ აგრე რომ იყოს, მაშინ სამართლიანობაც შეუძლებელი იქნებოდა დედამიწაზე, მაგრამ, საბედნიეროდ, აგრე არ არის!..

ჩვენ უნდა დავჩუმდეთ, რომ არ განვიმეოროთ ის, რაც უკვე ვსთქვით წინად.

კალამი.

---

*) ერთს დიდს გულ-კეთილობას იჩენს ახლა ბ. მოსაუბრე ჩვენდამი: წინად მისის აზრით უნიჭოც ვიყავი და უგუნურიც, ახლა კი, თავის პასუხში (კვალი № 20) ნიჭი დაგვიბრუნა და მხოლოდ უგუნურებას გვწამებს. დიდი წყალობაა!

**) ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ ბ. მოსაუბრე უარჰყოფდეს ერს, ეროვნებას, ეროვნულ კულტურას, ეროვნ. სულიერს წრეს, ეროვ. გრძნობებს, სიმპატიებს და ანტიპატიებს და მაშასადამე ეროვ. ინტერესებს.

საზღვარ-გარედ

ინგლისელები დ ბურები. სამხრეთ-აფრიკის უმაგალითო და გაუთავებელ ომიანობის გათავების იმედმა ისევ გამოაშუქა. როგორც ლონდონიდან იტყობინებიან, მილნერს მოუთხოვია შეუწყვეტელი დამოკიდებულება იქონიოს ტელეგრაფით მთავრობასთან, რომ საბოლოო პასუხი მიიღოს მისგან ბურების მიერ წარმოდგენილ სამშვიდობო პირობებზე. ამასთანავე ბალფურს ამ დღეებში ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა ინგლისის მეფესთან და, როგორც ამტკიცებენ, ეს თათბირი ეხებოდა ზავის ჩამოგდების გამო

ფელეტონი

ქუთაის წყლის გამყვანი ამხანაგობა

I

წინერილში ვთქვით, რომ სამთო ინჟინერ. დ. მიხაილოვმა შეუკრა საკონცესიორობა ქუთ. ქალაქის გამგეობას წყლისყვანის შესახებ და მოვიყვანეთ პირობისთავრესი მუხლები. აქ კი საჭიროა განვიხილოთ ბ. მიხაილოვის მიერ დაარსებულ ის გამყვანი ამხანაგობის პირობა.

[illegible] თუ არა წინადადება ქუთ. ქალ. გამგეო წყლისაყვან კონცესიის შესახებ, ინჟენ მიხაილოვი მაშინვე შეუდგა ამხანაგობ დაარსებას. ეჭვი არაა, მას უნდა მიეზიდ ფულიანი და გაბედული კაცები. ამგვარრთ იგი ვერ იპოვიდა ქუთაისში. ჩვენს ოცვილ ქალაქში ფული ძლიერ ცოტაა ვისაც აქვს, იგი ან მევახშეობს ან ვაჭ. ჩვენი ფულიანის არსხედვა ფართალს ექსილს ვერ გასცილებია, მას არ ესმის რ სწამს ახალი საქმე და მის მიერ გამოწვ სარგებლობა. ამიტომ ბ. მიხაილოვმა ის გულის ყური მიაპყრო ტფილისს, სა იპოვა და შეიამხანაგა რამდენიმე განათლებული და ფულიანი ადამიანი.

ამ პირებთან ერთად ბ. მიხაილოვმა დააარსა 26 მარტს 1901 წელს ნოტარიული წესით რწმენაზე ამხანაგობა სახელდობრ:

„ქუთაისის ქალაქის წყლისაყვანის სამთო ინჟენრის ალექსანდრე დიმიტრის ძის მიხაილოვის და კომპანიის ამხანაგობა“.

სრული პასუხის მგებელი ამხანაგობისა არის ბ. მიხაილოვი, დანარჩენი წევრები არიან მხოლოდ შემტანები (вкладчики). თვით ამხანაგობის გამგეობა შესდგება ხუთი კაციდან. აი მოკლედ უმთავრესი მუხლები ამხანაგობისა.

1. ამხანაგობის მიზანია შეიძინოს ბ. მიხაილოვიდან კონცესია ქუთ. წყლისაყვანის შესახებ, გამართოს იგი და ისარგებლოს მით თანახმად კონცესიისა.

2. ამხანაგობის თანხაა 80.000 მ., 800 ასმანეთიან პაით გაყოფილი.

3. ამ 80.000 მანეთში ბ. მიხაილოვს შეაქვს 70.000 მანეთი და მთვალეა პასუხი აგოს ამხანაგობის ზარალში ყოველივე თავის ქონებით, დანარჩენი 10.000 მანეთი შემოაქვთ იმ ოთხ წევრთ და პასუხს აგებენ მხოლოდ თავის შეტანილ თანხით. თანხის მოსამატად ამხანაგობას აქვს უფლება გამოსცეს დამატებითი პაები.

4. ამხანაგობის საქმეებს განაგებენ: ა. გამგე-დირექტორი, ბ. გამგეობა და გ. საზოგადო კრება.

5. ამხანაგობის საქმეების მართვა და განკარგულება წყლისაყვანის გაკეთების და ექსპლოატაციის შესახებ ეძლევა გამგე-დირექტორს მიხაილოვს.

6. გამგე-დირექტორი მიხაილოვი ამხანაგობის სახელით უვექილობოთ უკრავს სხვებს პირობას, იძენს მამულებს ღირებულს 10.000 მანეთამდე, ეწერება წევრად საკრედიტო დაწესებულებაში, იღებს სესხს 6000 მანეთამდე, აწარმოებს ყველგან ამხანაგობის საქმეებს, აძლევს სხვას ვექილობას, აგრეთვე იღებს, უშვებს და აჯარიმებს ყველა მოსამსახურეებს.

12. გამგე-დირექტორის კანტორა იმყოფება ქუთაისში; კანტორას აქვს თავის ბეჭედი.

13. გამგეობის წევრებია: ბ. ბ. მიხაილოვი, ბაბოვი, ბეგზადოვი, დიასამიძე და ჭრელაშვილი.

14. ამხანაგობის გამგეობა იმყოფება ტფილისში და აქვს თავის ბეჭედი.

16. გამგეობა მთვალყურეობა იქონიოს გამგე-დირექტორის შესახებ ზედამხედველობა, კონტროლი და უქნას რევიზია ქუთ. კანტორას.

28. გამგეობის წევრად აირჩევა მხოლოდ ის პირი, რომელსაც შეუძენია არა ნაკლებ ათი პაისა.

29. წყლისაყვანის გაკეთების განმავლობაში ბ. მიხაილოვი თავის შრომისთვის იღებს 6.000 მანეთს; ამავე ხანში დანარჩენი ოთხი წევრი გამგეობისა გზის ხარჯად და შრომისთვის იღებენ აგრეთვე 6000 მანეთს, თითოეული 1500 მანეთს. ექსპლოატაციის დროს გამგე-დირექტორი მიხაილოვი მიიღებს წლიურად 4500 მანეთს, თითოეული წევრი კი მიიღებს საზოგადო კრების მიერ დანიშნულ ჯილდოს და თითო პროცენტს წმინდა მოგებიდან.

34. ყოველივე კითხვის გადასაწყვეტად ამხანაგობის ყველა წევრები სარგებლობენ ხმით შემდეგი წესით: ყოველი ათი პაი აძლევს მხოლოდ ერთი ხმის უფლებას, მაგრამ არც ერთ წევრს არ შეუძლია იქონიოს ათ ხმაზე მეტი, ხუთი საკუთარი ხმა და ხუთიც ვექილობით. იმ წევრთ, ვისაც ათზე ნაკლები პაი აქვთ, შეუძლიანთ ვექილობით შეაერთონ პაები და მიიღონ ერთი და მეტი ხმა.

36. ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრებები ხდება ტფილისში.

41. საზოგადო კრება ხდება აპრილში.

54. სრულად მიღებულ პაის ფულში წევრებს ეძლევათ პირველივე დღიდან წლიურად 4% ექსპლოატაციის დაწყებამდე და შემდეგ პროცენტს გარდა ეძლევათ დივიდენდი. ნაწილად შემოტანილ

გამართულ მოლაპარაკებას. მთავრობის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ზავის ჩამოგდების მომხრე ბურებმა დაიყოლიეს შეურიგებელნი და ბურები ახლა აღარ თხოულობენ სრულს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, კმაყოფილდებიან ავტონომიით. ჰფიქრობენ, რომ სულ მოკლე ხანში ბურების დეპუტაციები პრეტორიაში მოვლენ. რასაკვირველია, საბოლოო ზავის ჩამოგდებამდე ჯერ კიდევ შორს არის, რადგან ავტონომიისა და აჯანყებულ აფრიკანდერების საქმე ხანგრძლივ მოლაპარაკებას მოითხოვს, მაგრამ ისიც დიდი ბედნიერებაა, რომ საქმეთა მიმდინარეობამ ასეთი მიმართულება მიიღო.

დიდ ბრიტანიის განთავისუფლება სამხრეთ-აფრიკის ომიანობის საშინელ სიმძიმისაგან დიდი ხანია სასურველი იყო.

საფრანგეთი. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს გადაუწყვეტია სამსახურიდან გადადგომა ახალ პალატასთან მოულაპარაკებლად. ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება ეხლანდელ მთავრობისა დიდ შთაბეჭდილებას თურმე ახდენს საზოგადოებაზე: ნაციონალისტები და ყველა ჯურის რეაქციონერები გახარებულები არიან, სამაგიეროდ რადიკალური ელემენტები უკმაყოფილებას აცხადებენ ვალდეკის წინააღმდეგ. მართლაც, გაუგებარია ჯერ ხნობით მაინც სამინისტროს ასეთი ქცევა: არჩევნებზე გამარჯვება მას დარჩა, რესპუბლიკის პრეზიდენტმა უმაღლესი ქება შეასხა ვალდეკ-რუსსოს, ლანესანსა და დელკასეს, არჩეული უმრავლესობა დიდის სიმპატიითა და თანაგრძნობით აფასებდა ეხლანდელ პირველ მინისტრის სახელმწიფო მოღვაწეობას; ამიტომ ყველა მოელოდა, რომ სამინისტრო მხოლოდ მაშინ გადადგებოდა, როცა ახლად არჩეული პალატა სრულ თავის ნდობას გამოუცხადებდა.

ვალდეკ-რუსსოს გადაწყვეტილება, რაც უნდა მოულოდნელი იყოს იგი, იმას არ ნიშნავს, რომ იგი ახალ სამინისტროს მეთაური არ იქნება. ახალ პალატის უმრავლესობას, „ტაიმს“-ის კორესპონდენტის სიტყვით, გასაგონადაც კი არ სურს გაიგონოს უვალდეკობა. სრულებით საიმედო წყაროებიდან ისმის, რომ ლუბეც ამავე აზრისაა. სწორედ ამით აიხსნება ის დიდი ქება-დიდება, რომლითაც ლუბემ მოიხსენია ეხლანდელი სამინისტრო. რესპუბლიკის პრეზიდენტის აზრის არიან რესპუბლიკელ პარტიების მეთაურებიც. როცა მეგობრებს უკითხავთ ლეონ ბურჟუასათვის, იკისრებს თუ არა იგი სამინისტროს შედგენას, ბურჟუას უთქვამს: „მხოლოდ იმ პირობით დავთანხმდები მინისტრობაზე, თუ პირველი მინისტრი ვალდეკ-რუსსო იქნება. მაშინ მე მზად ვარ ვიკისრო სულ პატარა პორტფელიც კი“. ეგევე განუცხადებიათ თითქმის ყველა მეთაურებს რადიკალებისას.

✡ რესპუბლიკელი პარტიები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან იმის შესახებ, თუ ვინ წამოაყენონ პალატის პრეზიდენტის თავიანთ კანდიდატად. ერთ უძლიერეს კანდიდატად ასახელებენ რადიკალ დეპუტატს მორის ფორს. ბრისონი უარს ამბობს კენჭი იყაროს პალატის პრეზიდენტობაზე, რადგან განზრახვა აქვს ენერგიული მონაწილეობა მიიღოს პალატის მუშაობაში.

სენ-მარტინიკის კატასტროფა. უფრო შესაფერი იქნებოდა სათაური „ანტილის კუნძულების კატასტროფა“, რადგან გარდა სენ-მარტინიკისა, სხვაგანაც დიდი უბედურება დატრიალდა ვოლკანურ ამოფეთქების გამო.

ეხლა სრულებით ეჭვს გარეშეა, რომ კუნძულ სენ-ვინსენტის ჩრდილოეთ ნაწილის ყველა მცხოვრებლები დაიღუპა: შატო-ბელერიდან დაწყებული ჯორჯტოუნამდე ყველა ცოცხალი არსება, ადამიანის ყველა ნაწარმოები განადგურების მსხვერპლთ შეიქნა.

დიდ-ძალი ადგილები, რომელნიც განთქმული იყვნენ თავის ნაყოფიერებით, ეხლა ვოლკანიურ ნივთიერებათა ქვეშ არის დამარხული. მდინარეები და წყაროები სულ დაშრა. გადარჩენილებს საშინელი შიმშილობა მოელისთ.

სენ პიერში ბევრი სასწავლებელი იყო უფრო სასულიერო წოდების ხელში. ბერების ერთ კონგრეგაციას ჰქონდა ერთი პანსიონი, სადაც იმ საშინელ უბედურების დროს 160 მოსწავლე და 20 მისიონერი ყოფილა. მონაზვნებს ჰქონდათ ოთხი პანსიონი, სადაც 200 მოსწავლე ქალი და 37 მონაზონი იყო, გადარჩენილა მხოლოდ სამი მონაზონი.

კუნძულ სენ-ვინსენტზე სცხოვრობდა პატარა ნარჩენი ერთ დროს ძლიერ და მრავალ რიცხოვან კარაიბების ტომისა. ევროპიელების ამერიკაში მოსვლამდე კარაიბების ხელში იყო არა მარტო ანტილის ყველა კუნძულები, არამედ სამხრეთ ამერიკის ის ნაწილიც, რომელიც მდ. ორინოკოსა და ამაზონს შუა მდებარეობს. კარაიბები იყოფებოდნენ ორს თემად და ჩამოჰკავდნენ მექსიკელ ინდიელებს, თუმცა ამათზე უფრო განვითარებული იყვნენ ფიზიკურად და გონებრივადაც. ამ ტომის უკანასკნელი წარმომადგენლები სენ-ვინსენტზე სცხოვრობდნენ და ინგლისის მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენდა მათ შესახებ. უკანასკნელ დრომდე მათ არ უღალატნიათ ძველ ჩვეულებებისათვის და არ უყვარდათ უცხოელები; ან რათ უნდა უყვარებოდათ, იმიტომ ხომ არა, რომ ხოცვა-ჟლეტის მეტი არა უნახავთ-რა მათგან.

თუ ინგლისი ეხლა ასე ზრუნავდა მათზე, ეს იმიტომ, რომ არ გამქრალიყო სრულებით კარაიბების ტომის წარმომადგენელნი, როგორც საინტერესონი ეტნოგრაფიისათვის—ასე „ზუბრებს“ უფრთხილდებიან ზოგიერთ ტყეებში.

რაც ინგლისელებმა დააკლეს, ეხლა ვოლკანმა შეუსრულა ბედკრულ კარაიბებს—სრულებით მოსპო მათი სამი სოფელი.

კარაიბებ შორის ძველის დროიდან დადიოდა თურმე თქმულება, მათი უკანასკნელი წარმომადგენლები ცეცხლისაგან დაიღუპებიანო და ეს გადმოცემა მართლაც ასრულდა. სულ რამდენიმე ოჯახი-ღა გადარჩა საშინელ კატასტროფას.

ამერიკა. ქ. ნიუ-იორკის ზოგიერთ უბნებში დიდი არეულობა თურმე მოხდა. მიზეზი ის ყოფილა, რომ 400 წვრილ ვაჭარს გადაუწყვეტია აღარ იყიდონ ხორცი იმ ვაჭრებისაგან, რომელნიც ხორცის დიდ ვაჭართა ტრესტში (სინდიკატში) ჩაეწერენ ფასების ასაწევად; მაგრამ ეს გადაწყვეტილება სისრულეში არ მოიყვანეს. ხალხი აშფოთა წვრილ ვაჭრების სულმოკლეობამ და მოითხოვა მათგან დუქნების დახურვა. ესენი არ დასთანხმდნენ. ასეთის ქცევით გაბრაზებული 500 ქალი ეცა მათ დუქნებს, ხორცი ქუჩებზე გამოჰყარა და ნავთი გადაასხა. არეულობა თან-და-თან ისე გაძლიერდა, რომ საჭირო შეიქნა პოლიციის საქმეში ჩარევა. ქალები არც პოლიციელებს დაერიდნენ და ბევრი მათგანი დასჭრეს. დააპატიმრეს და დააჯარიმეს არეულობის მოხდენისათვის 54 ქალი. იმ უბნების ქალებმა, სადაც არეულობა მოხდა, მანიფესტი გამოსცეს და ამბობენ, რომ ხორცის მსხვილი მოვაჭრენი ხალხის ფულით, რომელიც ასე მძიმე შრომით არის მოპოვებული, ბრილიანტებს ჰყიდულობენ თავიანთ ცოლებისათვის.

ნიუ-იორკის პროკურორს საქმე აღუძრავს ხსენებულ მსხვილ ვაჭრების წინააღმდეგ და მოწმეების ჩვენებით აღმოჩენილა, რომ ტრესტი უკანონო საშუალებას ხმარობდა თურმე.

ახალი ამბავი

◆ კვირას, 12 მაისს, ვეტცელის სასტუმროში მოხდა კერძო კრება ტფილისის **მესამე საარჩევნო ნაწილის** ამომრჩეველებისა. სხვა-და-სხვა საკითხთა შორის საყურადღებო იყო ორის ამომრჩევლის წინადადება, რომ თითეულ ერს ნება მიეცეს თვით აირჩიოს თავისი წარმომადგენლები საბჭოში, რადგან ისინი უფრო იცნობენ თავიანთ თანამემამულეთ და უფრო ადვილად შეეძლებათ ღირსეულ პირთა არჩევაო. კრების უმეტესობა ამის წინააღმდეგი გახდა, რადგან სასურვე- არ არისო საქალაქო საქმეებში ეროვნული განცალკევება ჰსუფევდესო. შემდეგ კამათი გაიმართა იმ წინადადების გამო, რომ არჩეულ ხმოსნებს ხელწერილი ჩამოერთვას, თუ ვინიცობაა რომელიმე მათგანი გულმოდგინეთ და სინიდისიერად არ ემსახურება ქალაქს, ხმოსნობას თავი დაანებოსო. კრებამ ეს წინადადებაც უარჰყო, როგორც პრაქტიკულად გამოუსადეგარი და ძნელი განსახორციელებელი. ბოლოს კრებამ განიხილა კომიტეტისაგან შედგენილი ხმოსანთა კანდიდატების სია და კენჭის ყრით თითქმის უცვლელად მოიწონა ყველა წამოყენებული კანდიდატები. ეს სია ჩვენ კვირის №-ში გვქონდა დაბეჭდილი.

◆ გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია **ორი შემდეგი დეპეშა** პეტერბურგიდან საკუთარის კორესპონდენტისაგან მიღებული: 1) ნება დაერთო იმ კერძო პირთ, რომელთაც სასოფლო მეურნეობის წესდების ძალით სახაზინო მიწები მიეცათ ჩერნომორსკისა და ქუთაისის გუბერნიებში, საკუთრებად შეიძინონ ეს მიწები, 2) გამოცხადდა წესი იმისა, თუ როგორ უნდა დაეთმოს კერძო პირთ სახაზინო მიწები ვენახის, ბაღისა და ძვირფას მცენარეების გასაშენებლად კავკასიაში და სხვა-და-სხვა გუბერნიებში.

◆ ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი **სვეჩინი** დღეს, 14 მაისს დილით, ყირიმიდან დაბრუნდება ტფილისში.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულების თანახმად, ტფილისის საბჭოს დარბაზში კვირას, 12 მაისს, დილით, საზოგადო კრება ჰქონდათ ხელოსანთა მამასახლისებსა და წარმომადგენელთ სერობიანცის ნაცვლად ტფილისის **ხელოსანთა მოურავის** ამოსარჩევად. კრებას დაესწრო 145 მამასახლისი და წარმომადგენელი. მოურავის თანამდებობაზე დაასახელეს რამდენიმე კაცი, რომელთაგან ყუთი დაიდგა მხოლოდ 7 კაცმა. კენჭის ყრით აღმოჩნდა შემდეგი: კარაპეტ სერობიანცს ამოუვიდა 93 თეთრი და 52 შავი კენჭი, ივ. მხეიძეს 61 თეთრი და 85 შავი, ფ. ბ. როლლოვს 68 თ. 77 შ., მ. რტფაილოვს 68 თ. 77 შ., ანდრია კაპანაძეს 41 თ. 101 შ., ფრ. რეგერს 37 თ. 106 შ., არ. გეურქოვს 21 თ. 124 შ. და ე. ს. მაისურაძეს 40 თ. და 105 შ. კენჭი. ამ რიგად მოურავის თანამდებობაზე კანდიდატად ამორჩეულ იქმნა ისევ სერობიანცი. ამ გარემოებამ კრების უმრავლესობა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგანაც ეს არჩევნები მათ უკანონოდ მიიჩნიეს შემდეგის მიზეზისა გამო: ზოგიერთების განცხადებით, არჩევნების შესახებ ამბავი უმრავლესობას მოუვიდა მხოლოდ კვირას, ასე რომ მოუმზადებელნი მოვიდნენ კრებაზე და მეორე ის, რომ გუბერნატორი სწერს არჩევნების ხელმძღვანელს სერობიანცს: სახელოსნო სამმართველოს წესდების მე-10 მუხლის ძალით მოურავის თანამდებობისათვის უნდა ამოირჩიოთ ორი კანდიდატი, რომელთაგან ერთი იქნება დამტკიცებული ადმინისტრაციის მიერ, ხოლო მეორე მის კანდიდატად დარჩებაო. გუბერნატორის ეს მოწერილება სანამ არჩევნებს შეუდგებოდნენ არ უცნობებიათ საზოგადო კრებისათვის, რომ მითი ეხელმძღვანელათ და ორი კაცი ამოერჩიათ; ამიტომ ზოგიერთებმა გადასწყვიტეს, როგორც აღნიშნულის აგრეთვე სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, სთხოვონ გუბერნატორს, უკანონოდ იქნეს ცნობილი 12 მაისის არჩევნები და ხელმეორედ დაინიშნოს კრება მოწერილობისამებრ ორის კანდიდატის ამოსარჩევად.

◆ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ტფილისის სახელოსნო სამმართველოს, რომ მან დაამტკიცა 46 **მამასახლისი** ყველა ამქრებისა, გარდა მეპურეთა, ქალის ტანისამოსის მკერვალთა, დალაქთა და დურგალთა მამასახლისებისა, რომელთა არჩევნების უკანონობის შესახებ გამოცხადებული საჩივარი განსახილხველად გადაეცა ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს. გუბერნატორი თავის მიწერილებაში შენიშვნას აძლევს ხელოსანთა მოურავს სარობიანცს

ფულში კი შესრულებამდე არავითარი პროცენტი არ ეძლევათ.

59. ამხანაგობის მოგება ნაწილდება შემდეგი სახით: 10% სრული მოგებისა იდება სათადარიგო თანხად, 5% ეძლევა ჯილდოთ გამგეობის წევრთ. ამ 15% გამოქვითვით დარჩენილ მოგებიდან თითოეულ პაის ეძლევა დივიდენდათ ათ ათი პროცენტი, ე. ი. თითო თუმანი. დანარჩენ თანხიდან 10% ეძლევა გამგეობის მუშა-მოსამსახურეთა ჯილდოთ, 15% შედის საზოგადო კრების განკარგულებაში, დანარჩენი 75% ურიგდება წევრებს დამატებით დივიდენდათ.

63. ყოველივე თავის უფლებებს წყლის გასაყვან კონცესიით გამოწვეულს მიხაილოვი უთმობს ამხანაგობას შემდეგი პირობით: ა) ამხანაგობა აძლევს მიხაილოვს 9500 მანეთს იმ ხარჯებში, რაიცა მოუხდა მას კონცესიის აღებაში და წყლისსაყვანის პროექტის შედგენაში, ეგრეთვე ნაცვლად 5000 მანეთისა, რომელიც შეიტანა მიხაილოვმა ბეთ ქუთ. ქალ. გამგეობის კასაში; ეს ბე ამიერიდან ხდება ამხანაგობის საკუთრებათ. ბ) გარდა ამისა ამხანაგობა უხდის მიხაილოვს 70.000 მანეთს, რომლისაგან აძლევს 20.000 მანეთის პაებს და დანარჩენ 50.000 მანეთს ან ფულად ან პაებათ გამგეობის მიხედულობით.

II

ზემოხსენებულ პირობის დამატებათ არის მოყვანილი ბ. მიხაილოვის მიერ სქემა და მოსაზრებანი ქუთ. წყლის საყვანის გასამართი და საექსპლოატაციო ხარჯები, ეგრეთვე შემოსავალიც.

I **საერთო ხარჯი წყლის საყვანის გაკეთებისათვის და მისი ღირებულება:**

	მანეთი.
1. მილების და სოლინარების ფასი	82.890
2. მილების და სოლინარების ჩაწყობა	13.188
3. წყლის საქანელი მანქანები, აუზები, ფილტრები, შენობანი, სახელოსნო, ლაბორატორია, ტელეფონი, შადრევანი, კონცესიის და პროექტის ხარჯები და სხ.	120.057
4. მოსამსახურეთა ჯამაგირი ქუთაისში შენობის დროს 1½ წელიწადს	13.740
5. კანტორა, მოწყობა, სითბო-განათება, პაების % და სხვ.	10.650
6. გამგეობის ჯამაგირი მუშაობის დროს	8.100
7. გამგეობის კანტორა, მოწყობა, ამხ. პირობის და საწარმოვო მოწყობის ხარჯები და სხ.	4.500
8. ინჟ. მიხაილოვს კონცესიის დათმობისთვის	35.000
9. მოულოდნელი ხარჯები	10.165
	სულ=295.000

II. **საექსპლოატაციო ხარჯები ყოველ წელს.** (ეს ხარჯები გაზომილია იმ ანგარიშით, რომ საშუალოდ გავა დღეში 125.000 ვედრო წყალი).

	მანეთი.
1. მაშინისტს, თანაშემწეს და ორს კაჩეგარს	2.320
2. ნახშირი, რემონტი და მანქანის გაწმენდა	3.500
3. კანტორა, სითბო-განათება, კანტ. გამგე, მცველები, მწერალი, მუშები და სხ.	3.920
4. მეონკანენი, კანტრალიორები, დაზღვევა, ორი ცხენის შენახვა და სხვა	6.380
5. გამგე—დირექტორს	4.500
6. გამგეობის შენახვა	2.000
7. მოულოდნელი ხარჯები	1.380
	სულ=24.000

IV. **წყლის დღიური მინიმალური ხარჯვა და მით გამოწვეული შემოსავალი.**

1. შემოსავალი დაკლებული ტარიფით	17.400 ვედრო	17 მ. 40 კ.
2. შემოსავალი სრული ტარიფით	81.400 ვედრო	167 მ. 60 კ.
	სულ=98 800 ვედრო	185 მ.

ბ. მიხაილოვის ანგარიშით 185 მანეთი დღიური შემოსავალი იზამს წლიურად 67.525 მანეთს; ამას რომ გამოვაკლოთ საექსპლოატაციო ხარჯები 24 000 მან., წმიდა მოგებათ დარჩება 43,525 მანეთი, რაიცა აღემატება 14 %-ს წლიურად დახარჯულ კაპიტალზედ.

ბ. მიხაილოვი იმედობს, რომ 20 წელზედ ბევრად უფრო ადრე წყლის დღიური ხარჯი დიდათ აღემატება 100.000 ვედროს. თუ სრული ტარიფით გაიყიდა დღეში მხოლოდ 150.000 ვედრო, წლიური შემოსავალი ავა 107.675 მანეთზედო; 200.000 ვედრო წყლის დღიურ გაყიდულობაზედ შემოსავალი შეადგენს 140.525 მანეთსო.— „ქუთაისი რომ უფრო ნელადაც გაიზარდოს, ვინემ დღემდე, მაინც 20 წლის განმავლობაში წყლის საყვანის მოქმედებიდან, ე. ი. 1923 წელს ქუთაისში იქნება არა ნაკლებ 75.000 მცხოვრებისაო. ამიტომ 200.000 ვედრო წყლის დღიური გასაღება არ უნდა იყოს გადაჭარბებული და წლიური წმინდა შემოსავალი 110.000 მანეთი უნდა იქნეს სარწმუნო. თუ ეს ასეა, მაშ ქალაქმა რომ მოინდომოს წყლის საყვანის შესყიდვა 20 წლის შემდეგ საკონცესიო პირობის ძალით უნდა მოგვცეს 110.000+14=1.540.000 მანეთი. და თუ ქალაქმა არ შეისყიდა, მაშინ 14 წლის განმავლობაში ისევ ჩვენს ხელში იქნება წმინდა შემოსავალი არა ნაკლებ 110.000 მანეთისა წელიწადში“. ამ სიტყვებით ათავებს თავის მოსაზრებას ბ. მიხაილოვი.

აქ არ შეიძლება არ მივცეთ საამხანაგო

იმის გამო, რომ ხელოსანთა არჩევნების დროს მან ჯეროვანი ღონისძიება ვერ იხმარა და ვერ მოახერხა, რომ მეტი ხელოსანი დასწრებოდა მამასახლისების და ხმოსნების არჩევნებს.

◆ საქალაქო სასანიტარო-საექიმო ინსპექციის ცნობებით, ტფილისში აპრილის განმავლობაში 134 კაცი გახდა ავად სხვა-და-სხვა **გადამდებ სენით**; ამათგან 14 სხვა-და-სხვა სახადით, 4 ყვავილით, 71 წითელათი, 18 ქუნთრუშით, 17 დიფტერიტით, 4 ყივანა ხველით და 2 ქლექით. უმეტესი ნაწილი ავადმყოფებისა ყოფილა 1-ლსა და მე-10 საპოლიციო უბნებში (ვერა და კუკია დიდუბეთი და ნაძალადევით), უმცირესი—მე-6 და მე-7 უბნებში (ქალაქის ძველი ნაწილი ავლაბრითა და ნავთლუღით).

ჩვენ გვგონია, რომ ეს განაწილება ავადმყოფებისა საეჭვოა. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება ვთქვათ, რომ მე-6 და მე-7 უბნებში სასანიტარო-საექიმო ინსპექციას ნაკლები ზედამხედველობა აქვს და ამიტომ იქ ბევრი ავადმყოფი არ შეუტანიათ სიაში.

◆ კვირას, 12 მაისს, ნაშუადღევის 5 საათიდან „ტფ. საკრებულოს“ საზაფხულო სდგომში გაიმართა სეირნობა და შემდეგ წარმოდგენა ტფილისში წელს დაარსებულ **ნოქართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების** სასარგებლოდ. სეირნობასა და წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება მიაწყდა. წარმოადგინეს სამი ვოდევილი (რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენებზე); ქართულად წარმოდგენილი იყო რაფ. ერისთავის ცნობილი „ბიძიასთან გამოხუმრება“. საკრებულოს ბაღი და სათეატრო დარბაზი მშვენივად იყო მორთული ბაირაღებითა და ყვავილებით. ნოქართა საზოგადოებას შემოუვიდა 1000 მან. მეტი.

◆ გუშინ-წინ მიწად მოქმედების დეპარტამენტისაგან მოწერილობა მოუვიდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ მიწად-მოქმედების მინისტრმა ტფილისის **საბაღოსნო სკოლის გამგედ** დაამტკიცა მოსკოვის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში კურს დასრულებული აგრონომი ბ. პეტრე ივანოვი. ეს ამბავი საბჭომ უკვე აცნობა საბაღოსნო სკოლის მზრუნველს, ასე რომ ბ-ნი ივანოვი ამ დღეებში უკვე შეუდგება თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ პარასკევს, 17 მაისს, საღამოზე სხდომა ექნება კავკასიის **სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს რამდენიმე მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ ხვალ, 15 მაისს, ვაჟთა 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში დანიშნულია გიმნაზიის მოსწავლეთა გამოსაცდელად **გიმნასტიური დილა**.

◆ ხორცით სავაჭრო **ქალაქის დუქანი** გაიხსნება და დაიწყებს მოქმედებას ხვალ, 15 მაისიდან.

◆ **ქალაქის ლომბარდის** სარევიზიო კომისიამ ტფილისის ქალაქის გამგეობის უკანასკნელს სხდომას წარუდგინა თავისი მოხსენება ლომბარდის შესახებ. გამგეობამ განიხილა ეს მოხსენება და გადასწყვიტა დამტკიცებულ იქმნეს ლომბარდის ანგარიში და აგრეთვე შეწყნარებულ იქმნას კომისიის წინადადება იმის შესახებ, რომ ლომბარდის წვრილ ხარჯების ანგარიში ცალკე სდგებოდეს და აგრეთვე შემოღებულ იქმნას განსაკუთრებული დავთარი, სადაც დაწვრილებით იწერებოდეს ცნობები ლომბარდის ინვენტარის შესახებ.

◆ ალავერდის სპილენძის სადნობ ქარხნის გამგე ბაგრამიანცთან მყოფ პოლიციის დარაჯს, დავით დავიდოვს ლორიის ნაწილის ბოქაულის კვალიაშვილისაგან დავალებული ჰქონია თვალყური ედევნებია ციმბირიდან გამოქცეულ სპარსეთის ქვეშევრდომის ნური-იბრაგიმ ოღლისათვის, რომელსაც 12 წლის კატორღა ჰქონია გარდაწყვეტილი და თუ მარჯვე შემთხვევას იშოვიდა, ან მოეკლა ან დაეჭირა. 1899 წლის 10 ივნისს ქარხანაში ბაგრამიანცთან მისულა უცნობი სპარსელი, რომელსაც შეკაზმული ცხენი მიუბარებია რამდენიმე დღით შესანახვად. ბაგრამიანცს ეს კაცი გამოქცეულ ყაჩაღად უცვნია და უთქვამს დარაჯისათვის, როცა იგი ცხენის წასაყვანად მოვიდოდა ქარხანაში—დაეჭირათ. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ უკეთეს შეკაზმულ ცხენზე მჯდომარე ნური-იბრაგიმი მოსულა ქარხანაში, დავიდოვს მოუხელებია დრო და ნური დაუჭერია; მაგრამ ბაწარი შემოუხვევიათ და წაუყვანიათ პოლიციისათვის გადასაცემად. გზაში ნური იბრაგიმს დრო შეურჩევია და გაქცეულა, მაგრამ დარაჯს უსროლია ბერდანკა და გაქცეული ყაჩაღი იქვე მოუკლავთ. ამის გამო ბაგრამიანცი და დავიდოვი პასუხის გებაში მიუციათ როგორც კაცის მკვლელები. ეს საქმე გაარჩია გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ, სადაც მოწმეებმა ბოქაულმა კვალიაშვილმა და პაპიანცმა შეამოწმეს მთელის ამბის სინამდვილე. ოლქის სასამართლომ ორივე ბრალდებული გაამართლა.

◆ შაბათს, 11 მაისს, დღის 12 საათზე, ოზურგეთის მოქალაქე ნესტორ ივანოვი და ტფ. მცხოვრები ალ. მელიქ-მათოსოვი შენგელიას სახლში (კონსულის ქუჩაზე) მცხოვრებ საფრანგეთის მოქალაქეს მარგარიტა ლოშარის სადგომში შეპარულან იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი შინ არ ყოფილა და მოუპარავთ ხალიჩები, აბრეშუმეულობის ქსოვილები, საბნები და სხვა ძვირფასი ნივთები სულ 700 მანეთისა; წვრილმანი ნივთები ქურდებს მოუსწრიათ და მიუბარებიათ პოლიციის მე-5 ნაწილში ბუფეტის პატრონის დიმიტრი გაბუნიასათვის, ხოლო ხალიჩები და სხვა ნივთი გადაუციათ მუშისათვის დანიშნულს ადგილზე მისატანად. თავხედი ქურდები პოლიციელს შეუნიშნავს და დაუტუსაღებია; კარგა ხანს ძებნის შემდეგ მოხელე ქუკოვს აღმოუჩენია როგორც გაბუნიასათვის მიბარებული, ისე სხვა ნივთებიც და პატრონისათვის ჩაუბარებია. ქურდები, რომელნიც დანაშაულში გამოტყდნენ, პოლიციამ პასუხის გებაში მისცა.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, ფეთხაინის ქუჩაზე, შაქრო გრიქუროვის სახლთან, 12 მაისს, ღამით პოლიცელმა ნახა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი მამრობითი სქესისა, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

რუსეთის ქრონიკა

∝ ამას წინად ხმა გავრცელდა, ვითომც პეტერბურგის პოლიტეხნიკუმი წელს არ გაიხსნებაო. ახლა პეტერბურგის გაზეთები არწმუნებიან, რომ მთავრობას გადაუწყვეტია უთუოდ შემოდგომაზე გახსნას ეს სასწავლებელი.

∝ წელს გზათა ინჟინერების ინსტიტუტში მხოლოდ 125 კაცს მიიღებენ: მათგან 100 კაცს 1-ლ კურსზე, 15-ს მეორეზე და 10-ს მესამეზე. ეგზამენები საკონკურსო იქნება.

∝ ფინლანდიის სახაზინო რკინის გზების მოხელე ფინლანდიელთ, რომელთაც რუსული ენა არ იციან, დაევალათ შეისწავლონ იგი. ამისათვის 600 მარკა შემწეობაც მიეცა თითოეულს.

∝ უწმ. სინოდმა განმარტა: ვინც სასულიერო ან სამრევლო სკოლის მასწავლებლობაზე ეგზამენს იჭერს, უთუოდ ყველა საგნებში კარგი ნიშნები უნდა მიიღოს; თუ ერთ რომელსამე საგანში ორი მიიღო, მასწავლებლის ხარისხი არ უნდა მიენიჭოს, თუნდ საერთოდ შუათანა ადრიცხვით კარგი ნიშანი გამოუდიოდეს.

დაბა-სოფლები

სურამი. წელს ჩვენს დაბაში ბევრი მოაგარაკე მოდის; მიუხედავად ამისა, სახლები იაფად ქირავდება, რადგან ბევრი ახალი სააგარაკო სახლი აშენდა, წელს სურამის გზებიც შეაკეთეს და, საზოგადოთ, აქ მეტი სისუფთავეა და წესიერება წინა წლებთან შედარებით. სასეირნო პარკსაც ასუფთავებენ და ალამაზებენ. წინანდელ ჯარის გარდა წელს ფოთის პოლკიც მოვიდა, ასე რომ მხიარულებაც მეტი იქნება.

საყურადღებო პროგრამა *)

17. შეუდგნენ თუ არა მიწის ნაჭრების გაერთიანებას (округленіе), იმ მიზნით, რომ აშორებულ იქნეს მამულის დაკუწვა პატრონებ შორის (черезполосность земли) და რა გავლენა იქონია ამან წვრილ გლეხობათა მეურნეობაზე?

18. არსებობს თუ არა მიწის დაკუწვა სხვა-და-სხვა მეპატრონეებში და რაში გამოიხატება მისი ეკონომიური უხერხულობანი?

19. არიან თუ არა ან რამდენი ისეთ გლეხობათა ოჯახობანი, რომელთაც იმდენი საკუთარი ადგილები აქვთ, რომ, თითონ რომ ვერ ასწრებენ მუშაობას, იჯარით აძლევენ სხვებს?

20. უმეტეს ნაწილად ვინ არიან ეს მოიჯარადრეები?

21. რამდენად ხშირია მიწების იჯარით გაცემა? საიჯაროდ მთელი მამულები გაიცემიან ხოლმე თუ ცალკე ნაჭრები?

22. როგორია მოიჯარადრეთა ეკონომიური მდგომარეობა და პირობანი იჯარისა? მოიმატა თუ არა უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში საიჯარო გარდასახადმა?

23. მოიჯარადრეთა შორის არიან თუ არა ისეთი პირნი, რომელნიც წინად მესაკუთრენი იყვნენ, მაგრამ შემდეგ დავალიანებისა გამო თავიანთ წინანდელ კრედიტორების მოიჯარადრეებად გახდნენ?

24. როგორი იურიდიული, ჩვეულებრივი და ეკონომიური დამოკიდებულებაა ხიზანთა და მემამულეთა შორის?

25. რა გავლენა აქვს მსხვილ და დიდ მეურნეობას წვრილ გლეხობისაზე? დიდს მეურნეთ ჰყავთ თუ არა დაქირავებული მუშები და რამდენი? წვრიმალი გლეხობა დღიურ ქირაზედ მუშაობს თუ არა მსხვილ მეურნეებთან?

26. მუშაობის დროს დახმარებას უწევენ მეურნენი ერთი მეორეს თუ არა და ამასთანავე რა მნიშვნელობა აქვს ამ ჩვეულებას მეურნეთა უღარიბეს ნაწილისათვის?

27. უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში შეუტანიათ თუ არა ტეხნიკური გაუმჯობესება სასოფლო მეურნეობაში? რაში გამოიხატება ეს გაუმჯობესებანი? (კირისაგან და ქვისაგან გაწმენდა; თიხის გატანა ყანიდან; მორწყვა; გაშრობა, მინდვრებისა; ტყის მოშენება; ხევების ამოვსება ნიადაგის განოყიერება, შემზადება და სხვანი).

28. არის თუ არა განსხვავება მსხვილ და წვრილ მეურნეთა შორის ტეხნიკური გაუმჯობესების მხრით? დიდს მამულებში მეურნეობა უფრო ინტენსიურად წარმოებს თუ არა და თუ ამ მამულებისაგან უფრო მეტი წმინდა შემოსავალია, ვიდრე წვრილ მამულებში თუ არა? როგორი გავლენა აქვს დიდის მამულების ინტენსიურად დამუშავებას წვრილ გლეხობის მეურნეობაზედ?

29. როგორაა აღნიშნულ რაიონში თესვის საქმე დაყენებული?

30. მიწების გასანოყიერებლად ყრიან თუ არა ნეხვს? ნეხვს გარდა მიწების დასაპატივებლად სხვა რა საშუალებას ხმარობენ და ან რა საშუალებაა ეს?

31. როგორი იარაღებით მუშაობენ საყანე მიწებს? რა ხორბლეულობა ითესება, როგორია სათესლე მარცვალი და ან როგორ ამზადებენ? არის თუ არა შემთხვევა მეურნეთაგან სხვაგან სათესლე ხორბლის შეძენისა? რამდენი საწყაო ხორბალი (პურისა, დიკასა, ქერისა, სიმინდისა, შვრიისა, ფეტვისა) ითესება ერთ დესიატინა მიწაზედ? არის თუ არა შემთხვევა თესვის დროს მანქანების ხმარებისა? როგორ არიან იგინი გაწმენდილნი? როგორ ითარება თესლი მიწაში? როგორის იარაღით იწევენ მოსავალს? ხმარობენ თუ არა მანქანებს? როგორ წარმოებს ლეწვის საქმე? როგორაა მოწყობილი სალეწავი და რა ძალით მოძრაობს? როგორ ინახება მარცვალი?

32. რამდენ მანეთად შეიძლება დაფასდეს ერთი დესიატინა მიწის მოსავალი ყველა მცენარეთა გვარისა?

33. და ხლოვებით რამდენად დიდია მოსავალი ყოველ გვარ მცენარისა, ხორბლისა ჩალისა და ბზისა თითოეულს დესიატინა მიწაზედ? ეხლანდელ ფასის მიხედვით რამდენად შეიძლება დაფასდეს ერთი დესიატინა მიწის მთელი მოსავალი?

34. რამდენადაა გავრცელებული აღნიშნულ

პირობას რამდენიმე შენიშვნა:

1. გამგეობის წევრობისათვის არ უნდა სავალდებულო უსათუოდ ათი პაის შეძენა. ამითი გამგეობაში გზა ეძლევა მხოლოდ ფულიანებს. ფულიანობა კი, ჩვენის ფიქრით, არ ამტკიცებს კიდევ გონებრივ უპირატესობას. საქმისათვის აჯობებდა, რომ ყველა წევრს ჰქონებოდა ეგ უფლება, როგორც საზოგადოთ მრავალს სააქციონერო და საამხანაგო დაწესებულებებშია მიღებული. ზოგიერთ შემთხვევაში გამგეობაში ირჩევენ გარეშე პირსაც კი.

2. ას მანეთიანი დამატებითი პაების გამოცემა არ უნდა იყოს პრაქტიკული. ჩვენი ხალხი ღარიბია. მას ასი მანეთის შეტანა თუნდ ვადებითაც მეტად ეძნელება. ამიტომ, ვიცი, ბევრს სურვილი აქვს, ძალა კი არ შესწევს შეიძინოს თუნდ ერთი პაი. ბევრად აჯობებდა, რომ თითოეული პაი ყოფილიყო თუ 25 მანეთიანი არა ხუთ თუმნიანი მაინც.

3. არც ხმის განაწილებაა კანონიერი. თითო პაის პატრონს უნდა ჰქონოდა თითო ხმა. 4 პაის პატრონს ორი ხმა, 8 პაის—3 ხმა, 16 პაის 4 ხმა, 32 პაის—5 ხმა. ხუთზედ მეტი ხმა და ხუთიც ვექილობით მიღებულ ხმაზედ მეტი არავის არ უნდა ჰქონოდა, რამდენი პაიც კი უნდა ეყიდა მას.

4. მოგების განაწილებაც ცოტა არ იყოს ბუნდოვანია და გაუგებარი. მასთან ვიწრო კომერციული ხასიათი აქვს და საქველმოქმედო მიზნით არაფერია გადადებული. იმედია, ყოველივე ამას შეამჩნევენ თვით წევრები და გაასწორებენ საზოგადო კრებაზედ. ჩვენ გვსურდა მიგვეცა შენიშვნა იმ მუხლზედაც, სადაც სწერია, რომ გამგეობა და საზოგადო კრება ტფილისში იქნებაო. ეს არ იქნებოდა მოხერხებული. ამ მოკლე ხანში გავიგეთ, რომ წევრებს კიდეც უცვნიათ ესა და დაუდგენიათ, რომ როგორც გამგეობა, ეგრეთვე საზოგადო კრებანი იყვეს ქუთაისში.

ბ. მიხაილოვმა წყლისაყვანს შეუერთა ქუთაისის ელექტრონის ტრამვაიც. პირველი წარმოება დააფასა 350000 მანეთად, მეორე კი ე. ი. ტრამვაი 200.000 მანეთად. გამოცემულია დღემდე 130.000 მანეთის პაი, რომელთაგან, როგორც გადმოგვცეს, უმეტესობა გაყიდულია. პაის შემძენთ ეძლევათ შეღავათი და შესატანი ფული იყოფა ხუთ ვადათ თანატოლ ნაწილის შესატანად. პირველი ნაწილი შესატანია პაის შეძენის დროს, მეორე—22 სექტემბერს 1902 წელს, მესამე—22 იანვარს 1903 წელს, მეოთხე—22 მაისს 1993 წელს და მეხუთე 22 სექტემბერს 1903 წელს. ამ რიგად თითოეულ პაიზე უნდა წარადგინონ ამხანაგობის გამგეობაში თითო შეტანაზე 20 მანეთი. პაების შეძენა შეიძლება ამხანაგობის გამგეობაში, აგრეთვე თვით მიხაილოვიდან ქუთაისში ტფილისის ქუჩაზე ამხანაგობის კანტორაში. როგორც გადმომცა ბ. მიხაილოვმა, იგი ამიერიდან გაყიდის მხოლოდ 100.000 მანეთის პაის, დანარჩენი ფულის სესხება მას სურს ბანკიდან.

ელექტრონის ტრამვაის შესახებ ბ. მიხაილოვმა უკვე წარუდგინა ქალაქის გამგეობას საკონცესიო პირობა, მაგრამ იგი ჯერ განუხილავია. როდის შეუდგება ბ. მიხაილოვი ამ საქმის გამართვას ქუთაისში, ნამდვილად ჯერ არ ვიცით, ხოლო ეს კი მართალია, რომ ამ თავით მას აინტერესებს უფრო წყლისაყვანის საქმე, რის მუშაობასაც იგი დაიწყებს ამ ერთ თვეში.

ვგონებ არ უნდა იყოს ძნელი გასაგები, თუ რამდენად სახეიროა და მოსაგები ეს ორი საქმე, ე. ი. **ტრამვაი და წყლისაყვანი**. სადაც გამართულა ისინი, თითქმის ყველგან დიდი მოგება დარჩენიათ; მაგალითისთვის შორს არ წავალ; მივუთითებ ყველას ბელგიის უსახელო საზოგადოებას, რომელმაც ტფილისში გამართა ტრამვაი და იგებს აურაცხელ ფულს. ამგვარ რამეს უნდა ველოდეთ ქუთაისშიაც, რომელიც შესამჩნევად იზრდება. ამიტომ ძლიერ სამწუხაროდ უნდა ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ ამ ფრიად სახეირო საქმის პაებს იძენენ უცხოელები და თვით ქუთაისის და იმერეთის მცხოვრებნი კი ასე უგულოდ ეკიდებიან ამ საქმეს. უფულობით ვერ იმართლებენ თავს, რადგან თითო პაის შესაძენი ფული მუდამ მოიძებნება, თუ სურვილი აქვს კაცს. მიზეზათ შეიძლება ის თქვან, რომ აქამდე ვერ იცნობდნენ კარგად საქმეს. მართალია, რომ ბ. მიხაილოვი და გამგეობა არ ცდილან ქართულად გადაეთარგმნათ თავიანთი პირობა ან ვრცლად გაეცნოთ იგი საზოგადოებისათვის გაზეთის საშუალებით, მაგრამ ჩვენი წერილით შეუძლია მკითხველს იქონიოს საკმაოდ სრული წარმოდგენა საქმეზე და უფრო გულით მოეპყრას ამ ფრიად სასარგებლო საქმეს.

როგორც გადმომცეს, თ. კ. მუხრანსკი დაპირებია 50.000 მანეთის პაის შეძენას, იმ პირობით, თუ ეს საქმე მიიღებს აქციონერულ ხასიათსაო და ამ თავით იძლევა თურმე 25.000 ათას მანეთს. როგორც გადმომცეს, გამგეობა ჰფიქრობს თურმე ეს ამხანაგობა გარდაქმნას სააქციონერო საზოგადოებად.

დაბოლოს მიუხედავად მცირეოდენ შეცდომათა და მრავალ დაბრკოლებათა, ჩვენ სრული რწმენა გვაქვს ბ. მიხაილოვის და მთელ გამგეობის წევრთა საქმიანობის შესახებ, ამიტომ ვიმედობთ, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმენი, ე. ი. წყლისაყვანი და ტრამვაი დასრულდება მალე და სასახელოდ.

სიმონ ქვარიანი

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1805

რაიონში მეღვინეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ფრინველების მოვლა-მოშენება და მეჯოგეობა? აღწერეთ დაწვრილებით ტეხნიკა, ეკონომიური პირობანი და შემოსავლიანობა თითოეულ აქ დასახელებულ წარმოების დარგთა.

35. ბევრია თუ არა ისეთი გლეხი, რომელსაც არა ჰყავს საკუთარი მუშა საქონელი? ამ შემთხვევაში როგორია მათი დამოკიდებულება იმ გლეხებთან, რომელთაც ჰყავთ საქონელი?

36. როგორია საბალახო პირობანი პირუტყვთა მოშენებისათვის? ითესება თუ არა ადგილებში ბალახი? არის თუ არა საძოვარი ადგილები და ან ვის ეკუთვნის და რა პირობებია მათით სარგებლობისა?

37. ფუჭდება თუ არა სასოფლო მეურნეობის მცენარეულობა მავნებელ ცხოველებისა და მწერებისაგან და რომელისაგან? რა დროს და რა გარემოება უწყობს ხელს ყანების ახრებას და რა საშუალებათ ხმარობენ აღნიშნულ ცხოველებისა ან მწერების თავიდან მოსაშორებლად? უმეტესად როგორი მცენარეები უფრო ნადგურდება ამ მტერთაგან და რამდენია ხოლმე მათგან ზარალი?

38. ფუჭდება თუ არა მცენარეულობა ან იხოცება თუ არა შინაური საქონელი სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან? სახელდობრ, რა ავადმყოფობა იცის ადგილობრივ და რამდენადაა გავრცელებული? რა საშუალებით იშორებენ თავიდან ავადმყოფობას და ან როგორ აფერხებენ მის გაძლიერებას? რამდენად დიდია ავადმყოფობისაგან მოცემული ზარალი?

39. ხშირია თუ არა სეტყვა და რამდენად დიდია მისგან მოყენებული ზარალი?

(დასასრული იქნება).

კავკავში გამართულ ქართული წარმოდგენის ანგარიში

1902 წ. 31 მარტს კვირას კავკავის ქალაქის თეატრში გამართულ იქმნა წარმოდგენა კავკავის ქართული სკოლის სასარგებლოდ.

წარმოდგენილ იქმნა ალ. ყაზბეგის დრამა „არსენა“ და ვ. გუნიას ვოდევილი, „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“;

სცენის მოღვაწემ ალექსანდრე ნებიერიძემ წაიკითხა ქართული სცენები და შემდეგ გამართულ იქნა არტისტის ვასილ აბაშიძის 25 წლის იუბილეის დღესასწაული.

ამ წარმოდგენიდან შემოსავალი იყო 426 მან. 33 კაპ. გასავალი იყო 120 მან. 22 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 306 მან. 11 კაპ., რაც მიემატა სკოლის თანხას.

წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ქ.ქ.—ნებმა კნ. ელ. ივ. ხიმშიევისამ, ელ. დმი. ჩაჩიბაიასამ, ან. გ. ყაზბეგისამ, თ. ი. გაბაევისამ და თ. ივ. ბარისოვმა და ბატონებმა—ალ. პ. სარაჯევმა, ნ. დ. ყაზბეგმა, ილია ი. გაბაევმა, მიხ. ოტ. თხელიძემ, ივ. ს. მესხიევმა, ლ. გ. ბოცვაძემ, წ. ს. კურდღელაშვილმა. კ. ივ. მაჭავარიანმა, მიხ. ლომიძემ, ლუკ. დ. ჭავჭავაძემ, ივ. ლაზაშვილმა, პ. ივ. მრევლოვმა, ს. ოდიშვილმა და ვ. მალანიამ.

რეჟისორობა გასწია ბ. ალექსანდრე ნებიერიძემ. აპოთეოზი მოაწყო ალ. პ. სარაჯევმა, აგრეთვე წარმოდგენის წარმატებას ხელი შეუწყვეს და გამართვაში დახმარება აღმოგვიჩინეს თ. იას. მ. ლორთქიფანიძემ, კ. ა. გვარამაძემ, ვ. ბ. ჩაჩიბაიამ მ. ოდიშვილმა და სხვა.

ყველა ზემოდ მოხსენებულ პირთ ჩემდამორწმუნებულის სკოლის მაგივრად ვუცხადებ უგულითადესს მადლობას.

კავკავის ქართული სკოლის გამგე

პართენ ალ. გოთუა

უცხოეთის წვრილი ამბები

ფეითელგანიანი ჟანნა და არკი. ერთი ამერიკელი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთის საიდუმლო პოლიციაში ემსახურებოდა, ამბობს, რომ ამ ჟამად საზარელი ამბოხებაა სამხრეთ ჩინეთშიო.

მეამბოხეთ აზრადა აქვთ დღევანდელი სამეფო გვარეულობა ჩინეთში დასცენ, განსდევნონ, ამასთანავე სულ გაწყვიტონ მისიონერები, უცხოელები და ჩინეთის ქრისტიანები.

ამ ჟამად მეამბოხეთ ჰყავთ ათი ათასი ჯარის კაცი, კარგად გაწვრთნილები, ახალის თოფებით (მაუზერისა და მანლიხერისა) შეიარაღებულნი, ცხენოსნები და ქვეითნი.

მეამბოხეთა მეთაურნი არიან გამოჩენილი სამხედრო მანდარინები, მხოლოდ მათი სული და გულია ახალგაზდა ოც და ათი წლის უმშვენიერესი, ყოჩაღი და ღონიერი ქალი. ეს ქალი არა მარტო მშვენიერი მოლაპარაკე და მჭევრმეტყველია, საოცრად ხმარობს იარაღსაც. ის დადის სოფლებში და ქალაქებში და ყველგან ქადაგებს ამბოხებას, აჯანყებას და სამეფო გვარეულობისადმი სიძულვილს.

ეს ქალი სულ ცხენზეა, ფეხს არ ჩამოსდგამს ცხენიდან და თავის რაზმით, რომელსაც შეადგენენ ახალგაზდა ყმაწვილი კაცები, თავგანწირული მამულიშვილები, ხშირად ისეთ ადგილებშიაც დადის, სადაც იმის მოსისხლე მანჩჟურელები ცხოვრობენ. ამბობენ, რომ ეს ქალი საშინლად მოხერხებულად და მიზანში ესვრის რევოლვერს და ყარაბინას.

* *

ზანცჭკი პოლიციელი. ეხლახან, როდესაც პრინცესა ირენა და პრინცი ჰენრიხ პრუსიელები დარმშტადში იყვნენ, მათი უმაღლესობანი და ჰერცოგი ჰესენისა სასეირნოდ წავიდნენ ველოსიპედებით.

ორივე პრინცი სამოქალაქო ტანისამოსით იყვნენ; რადგანაც წვიმიანი დარი იყო და ჰეიდელბერგის გზა ატალახდა, მათ უმაღლესობათ გადაუხვიეს ხეივანში, რომელიც მარტო ქვეითა მოსიარულეთათვის არის დანიშნული. უცბად საიდგანღაც გამოტყვრა პოლიციელი და დაუღრიალა ყველაზე წინ მიმავალს ჰერცოგს.

— შესდექ! ეხლავე ჩამოდი ძირს!

ჰერცოგი დამორჩილდა პოლიციელს და ველოსიპედიდან ჩამოხტა. პოლიციელმა ამოიღო კარგა მოზრდილი წიგნი ჯარიმის ჩასაწერად და ვინაობა ჰკითხა: წოდება, სახელი და გვარი.

ჰერცოგმა მორჩილად უპასუხა:

— მე გახლავართ—დიდი ჰერცოგი ჰესსენ—დარმშტადტელი და აი ის ბატონებიც რომ ძირს არ ჩამოყაროთ, წინ და წინვე მოგახსენებთ, რომ ისინი არიან პრინცი ჰენრიხ და პრინცესა ირენა პრუსიელები. ამასთანავე ჰერცოგმა ჩაუთვალა სასტიკ წესრიგის დამცველს დაწესებული ჯარიმა ყველას მაგივრად.

* *

ეხლახან ისტორიული იშვიათი ნივთების საჯარო ვაჭრობაზე, სხვათა შორის, წარმოადგინეს გასასყიდად ერთი კოვზი, რომელიც ოდესმე ინგლისის მეფის, ჰენრიხ მეშვიდის, კუთვნილება ყოფილა: ეს კოვზი ვერცხლისაა ოქროში დაფერილი და ექვს კუთხიანი ტარი აქვს, რომელზედაც ამოჭრილია სიტყვები. „წმინდაო ნიკოლოოზ, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის“

ეს კოვზი გაიყიდა 17,250 ფრანკად ანუ ჩვენებურად 6,382 მანეთად.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა 250 ათასი ფრანკი შესწირა მარტინიკის კუნძულზე დაზარალებულთა სასარგებლოდ.

დღეს აქ გადაიხადეს პანაშვიდი საქსენ ალტენბურგის პრინცის ალბერტის სულის მოსახსენებლად.

ვენა. დღეს აქ მოვიდა პროფესორის საპოჟნიკოვის ექსპედიცია, რომელსაც განზრახვა აქვს ზაილიისკის და აკატუს საყინულეები შესწავლოს.

ხარკოვი. სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ლოპუხინი პეტერბურგს წავიდა.

ოდესა. სლავიანურმა საზოგადოებამ იდღესასწაულა 25 წლის შესრულება მას შემდეგ, რაც მოხდა ბულგართა და სერბთა განმათავისუფლებელი ომი.

კოპენჰაგენი. დღეს, დილის 11 საათზე, კოპენჰაგენის ნავთ-სადგურში შემოვიდა გემი „Cassine“, რომელზედაც იმყოფება საფრანგეთის პრეზიდენტი ლუბე. მას მიეგებნენ მეფე და პრინცები. მისალმების შემდეგ, მეფე, პრეზიდენტი და პრინცები სასახლეში წავიდნენ ეტლებით. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მათ.

ტომსკი. აქაურ საოლქო სასამართლოსთან არსდება საკონსულტაციო ბიურო, რათა იურიდიული დახმარება აღმოუჩინონ ხალხს.

მოსკოვი. ჩამოვიდა მხოლოდ რვა ფრანგი ჟურნალისტი. ნაშუადღევის 1-ლ საათზე „ერმიტაჟ“-ში საუზმე გაიმართა. „მოსკოვ. ვედომოსტ“-ს რედაქტორმა ადღეგრძელა და აღყვავება უსურვა საფრანგეთს და მის პრესსას. საფრანგეთის ჟურნალისტების სახელით სამადლობელი მიართვა გაზეთ „ფიგარო“-ს წარმომადგენელმა; მან ილაპარაკა პეტერბურგში და მოსკოვში დახვედრის გამო, რომ ამ დახვედრამ მეტად აღელვა ისინი და ბოლოს დალია რუსეთისა და რუსეთის ხალხის სადღეგრძელო.

„მოსკოვ. ლისტოკ“-ის ახლად გარდაცვალებულის რედაქტორის პასტუხოვის კუბო გვირგვინებით შეამკეს ფრანგ ჟურნალისტებმა.

პარიჟი. გაზეთები „გოლუა“ და „მატენ“ იხილავენ ხელმწიფე იმპერატორის მიერ წარმოთქმულს სადღეგრძელოს; აღნიშნავენ, რომ ხელმწიფემ საფრანგეთს „ერთგული მოკავშირე“ უწოდა და ამბობენ, რომ ამ სიტყვებით ხელმწიფემ უკუაგდო დიპლომატიური კილო, რაც კიდევ უფრო დიდ მნიშვნელოვანად ხდის ხელმწიფის სადღეგრძელოს. „ტან“-ი შენიშნავს, რომ სიტყვა „ერთგული“, რომელიც ხელმწიფემ იხმარა თავის სადღეგრძელოში, მოწმობს იმას, რომ საფრანგეთმა ნდობა დაიმსახურა, რაც შედეგია ჩვენის შინაურ პოლიტიკურ საქმეების სიმტკიცისა.

პეკინი. რუსეთის მხრით პროტესტის გამოცხადების გამო, რკინის გზების შესახებ მომხდარ შეთანხმებიდან გამოირიცხა ის მუხლი, რომლის ძალით რკინის გზების დირექტორად უთუოდ აფიცრები უნდა ყოფილიყვნენ.

ვარშავა. ახლად გაყვანილი ტელეგრაფი ბერლინსა და ადესას შუა, სიგრძით 1425 ვერსტი, აშენებულთაგან ჩაიბარეს.

პეტერბურგი. დღეს სამეცნიერო აკადემიამ იდღესასწაულა პოეტის ვ. ა. ჟუკოვსკის ხსენების დღე.

13 მაისი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა ორის თვით შეჩერებულ იქმნას გაზეთ „სარატოვსკი დნევნიკ“-ის გამოცემა.

თავადი გიორგი მაქსიმილიანის ძე რომანოვსკი ლეიხტენბერგის ჰერცოგი 12 მაისს პეტერბურგიდან რუსეთის შიგა გუბერნიებში წავიდა.

კოპენჰაგენი. საუზმის შემდეგ მეფემ და პრეზიდენტმა ლუბემ ქალაქში გაისეირნეს; 3 საათსა და 30 წუთზე ნავთ-სადგურში მივიდნენ; აქ პრეზიდენტი გამოეთხოვა მეფეს და გემით „Cassini“-ით ზღვაში გავიდა.

ჩისტოპოლი. ნავთ-სადგურში ტოპორკინის და აზიაგულში მოტანილია გასაგზავნად $2^1/_2$ მილიონი ფუთი ხორბალი, უმთავრესად ჭვავი და ფქვილი, შარშანდელზე ორი მილიონი ფუთით ნაკლები.

ფორტ-დე-ფრანსი. გუშინ ვულკანი შედარებით დაწყნარებული იყო; დღეს ისევ ლეშტერს აფრქვევდა. მთის ჩრდილოეთი კალთა რამდენსამე ალაგას დასკდა.

კიევი. დაიწვა პარკეტის ფაბრიკა ბიხოვსკისა. ზარალი 70.000 მანეთია.

პარიჟი. იმ ამბავმა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა 250.000 ფრანკი შესწირა მარტინიკაზე დაზარალებულთ, საერთო კმაყოფილება და მადლობის გამოცხადება გამოიწვია პარიზში.

ბელგრადი. ალავანტიის საქმეში ბრალდებულთ სასამართლომ დაპატიმრება მიუსაჯა 15 წლიდან 3-მდე.

პრეტორია. ბალმორაში მოვიდა ბურთა ჯარის ნაწილი, რათა თავის ნებით დანებდეს ინგლისელთ.

კოპენჰაგენი. საუზმეზე მეფემ შემდეგის სიტყვებით ადღეგრძელა ლუბე: „ბატონო პრეზიდენტო! უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ ინებეთ და მესტუმრეთ მე და ჩემს ქვეყანას. გიჩქარი გამოგიცხადოთ უგულ-წრფელესი მადლობა და ამასთანავე მწუხარება, რომ ასე ცოტა ხანს რჩებით ჩვენთან. ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს და ვუსურვებ კეთილ-დღეობას თქვენს მშვენიერს სამშობლოს, რომლის პირველი და ღირსეული წარმომადგენელი თქვენ ბრძანდებით.“ ლუბემ უპასუხა: „რუსეთიდან დაბრუნებისას, რომელიც ორთავე ჩვენის ქვეყნისათვის ძვირფასია, ჩემთვის არაფერი იქნებოდა ისე სასიხარულო, როგორც ხილვა პატივცემულის მეფისა და იმ ხალხისა, რომელსაც საფრანგეთი პატივსა სცემს და თანაუგრძნობს. გმადლობთ დახვედრისათვის, ვსვამ სადღეგრძელოს მეფისას, მის ოჯახისას და ვუსურვებ კეთილ-დღეობას დანიის მამაც ერს.“

გამომც. და პრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 10 მაისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94, 20
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$ მყიდვ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98^7/_8$ მყიდვ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	$94^1/_4$ მყიდვ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	360
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	287 გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$89^5/_8$ „
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	85 „
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	163 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი – დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან —№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); №6 სამგზავრო — დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ – დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
და-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

Дозволено цензурою Тифлисъ, 13 Мая 1902 года. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.